# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## სამინისტროს 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა

მაისი - 2021 წელი

# აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022-2025 წლების პრიორიტეტი, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (მ/შ 2022 წლის მთლიანი ბიუჯეტი – 16 298 722 )

პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

ბიუჯეტი: 10 698 834 ლარი

პრიორიტეტი – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

ბიუჯეტი: 1 342 638 ლარი

პრიორიტეტი – ტყის მდგრადი მართვა

ბიუჯეტი: 4 257 250 ლარი

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი:

## ბიუჯეტი: 16 298 722 ლარი




0701 – აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა
2 456 677 15%

0705 – აგროსექტორის მდგრადი განვითარება
307 800 2%

0706 – სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით
1 738 500 11%

0707 – აგროსერვისის განვითარება რეგიონში
2 894 657 18%

0708 – ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება
450 000 3%

0709 – მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა
400 000 2%

0711– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა 151 200 1%

0712 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
5 599 888 34%

07 13 – სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია
1 000 000 6%

0714 – სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა
1 200 000 7%

0715 – ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც–პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა
100 000 1%

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

| დასახელება | სულ | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტის დაფინანსება | 65 194 888 | 16 298 722 | 16 298 722 | 16 298 722 | 16 298 722 |
| საკუთარი შემოსავლები | 6 100 000 | 1 450 000 | 1 550 000 | 1 550 000 | 1 550 000 |
| სულ ბიუჯეტი: | 71 294 888 | 17 748 722 | 17 848 722 | 17 848 722 | 17 848 722 |

# სამინისტროს პროგრამები და ქვეპროგრამები

## 2022 წლისათვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ განხორციელდება 3 პროგრამა და 4 ქვეპროგრამა, კერძოდ:

- 0705 პროგრამა – აგროსექტორის მდგრადი განვითარება – ბიუჯეტი 307 800 ლარი;
  - ქვეპროგრამა – აგრარული ექსტენციის მიწოდება – 140 800 ლარი;
  - ქვეპროგრამა – საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა – 117 000 ლარი;
  - ქვეპროგრამა – ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა – 50 000 ლარი;
- 0706 პროგრამა – სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით – ბიუჯეტი – 1 738 500 ლარი;
  - ქვეპროგრამა – სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა – 1 738 500 ლარი;
- 0713 პროგრამა – სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია – ბიუჯეტი – 1 000 000 ლარი;

## ქვეპროგრამა – აგრარული ექსტენციის მიწოდება – ბიუჯეტი – 140 800 ლარი

- აგრარული დარგის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით და ექსტენციის ფაზების შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში საველე პირობებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებს მიაწოდებენ ექსტენციის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსებს მემცენარეობის, მეცხოველეობის, მცენარეთა დაცვისა და სხვა დარგების მიხედვით;







## ქვეპროგრამა – საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა
## ბიუჯეტი 117 000 ლარი

- ქვეპროგრამის ფარგლებში აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტ-კურსდამთავრებულები ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებში;

  აგრარულ სფეროში მოღვაწე მეცნიერების უშუალო მონაწილეობით განხორციელდება სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში  სიღრმისეული სამეცნიერო კვლევები და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები;







# ქვეპროგრამა – ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა – ბიუჯეტი – 50 000 ლარი

- ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება საერთაშორისო, საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ბიზნეს ოპერატორები;





# ქვეპროგრამა - სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა - ბიუჯეტი - 1738 500 ლარი



ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსდება 270 პროექტზე მეტი (80% / 20%) სასოფლო-სამერუნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოდგენილი პროექტები;

ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებას მემცენარეობისა და მეცხოველეობის მიმართულებით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვას.











# პროგრამა – 0713 სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია
# ბიუჯეტი – 1 000 000 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 4 მუნიციპალიტეტში (ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) არსებული სარწყავი, დამშრობი და შიდაქსელური არხების რეკონსტრუქციას;





# ა(ა) იპ აგროსერვის ცენტრის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი




**სულ ბიუჯეტი: 4 745 857**

# პროგრამა 07 14 – სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა
# ბიუჯეტი – 1 200 000 ლარი

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არანაკლებ 25 იდეა/პროექტი;
- ხელი შეეწყობა სოფლად მეწარმეობის განვითარებას;
- სოფლად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა;







# ქვეპროგრამა – 07 07 07 ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება – ბიუჯეტი – 975 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ციტრუსის ნერგის წარმოება – 26 000 ძირი;
- ხეხილის ნერგის წარმოება – 9 500 ძირი;
- ვაზის ნერგის წარმოება – 21 000 ძირი;
- ციტრუსის, ვაზისა და სხვა ხეხილოვნების მოსავლის მიღება – 23 000 კგ;





# ქვეპროგრამა – 07 07 08 – მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა – ბიუჯეტი – 572 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- 2 ჰა ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის მოვლა;
- 750 000 ცალი უვირუსო ჩითილის წარმოება:

(კიტრი, პომიდორი, ტკბილი წიწაკა, ბადრიჯანი, სალათის ფურცელი);





## ქვეპროგრამა - 07 07 11 მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა - ბიუჯეტი - 204 500 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ქვეპროგრამის უზრუნველყოფა და მართვა;
- 1500 ფუტკრის ოჯახის ფერმერებზე გადაცემა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერზე ერთი ოჯახის შესაძენად გაიცემა არაუმეტეს 80 ლარის სუბსიდია



# ქვეპროგრამა – 07 07 13 აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა – ბიუჯეტი – 680 500 ლარი



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- აჭარის ტერიტორიაზე – ქობულეთის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 1350 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დახვნა, დადისკვა, დაფარცხვა.
- ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში 750 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დახვნა.
- პირუტყვის საკვების დამზადება (თივის პრესვა);



# პროგრამა – 07 11 – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა – ბიუჯეტი – 151 200 ლარი





- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების თანადაფინანსება:

| ღირებულება | თანადაფინანსების თანხა | |
|---|---|---|
| 60 ლარი | 30 ლარი | ქ. ბათუმი, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები |
| | 50 ლარი | ქედა, შუახევი და ხულოს მუნიციპალიტეტები |

# პროგრამა 07 09 – მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა
# ბიუჯეტი – 400 000 ლარი

პრგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- 4 000 000 კგ სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება;
- 1 კგ სამრეწველო მანდარინის სუბსიდირების თანხა 0,10 ლარი





# პროგრამა - 07 15 ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა
# ბიუჯეტი - 100 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ლიცენზირებულ სასაკლაოზე 257 ტონა ხორცის დაკვლის მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- სუბსიდია შეადგენს დაკვლის მომსახურების 80%-ს; დაკვლის სუბსიდია 1 კგ.მ-ზე 0,38 ლარი;



# სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის
# 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

| დასახელება | სულ | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| ა/რ ბიუჯეტის შემოსავლები | 1800 000 | 450 000 | 450 000 | 450 000 | 450 000 |
| საკუთარი შემოსავლები | 3 900 000 | 900 000 | 1 000 000 | 1 000 000 | 1 000 000 |
| სულ ბიუჯეტი: | 5 700 000 | 1 350 000 | 1 450 000 | 1 450 000 | 1 450 000 |

# პროგრამა 0708 – ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება
# ბიუჯეტი – 450 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სასმელი წყლის, კვების პროდუქტების, გარემოს ობიექტების, მცენარეთა მავნე ორგანიზმების, ნიადაგის, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შემცველი ელემენტების ნიმუშების ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევები; გამოკვლევების შედეგების შესაბამისად სათანადო რეკომენდაციების გაცემა;
- ლაბორატორიის საქმიანობისა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება;
- ფერმერებისა და აგრომეწარმეებისთვის მოქნილი სერვისის მიწოდება ექსტენციის მობილური ლაბორატორიის გამოყენებით;
- საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის გამოცდებში აქტიური მონაწილეობა;
- კადრების მოზიდვა, სტაჟირება და შედგომი პროფესიული გადამზადება;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა;






გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების
სამმართველო

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2022 – 2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

| პრიორიტეტის დასახელება | | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022-2025 წლები | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 071201 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა | 5 108 952 | 1 277 238 | 1 277 238 | 1 277 238 | 1 277 238 |
| 071202 | გარემოსდაცვითი პროგრამა | 261 600 | 65 400 | 65 400 | 65 400 | 65 400 |
| **სულ პრიორიტეტის დაფინანსება** | | **5 370 552** | **1 342 638** | **1 342 638** | **1 342 638** | **1 342 638** |

| | |
|---|---|
| პროგრამა | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა<br>ბიუჯეტი - 1 277 238 ლარი |
| პროგრამის აღწერა | გარემოს დაცვის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების გატარება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის გარემოს დაცვის ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.<br>საწარმოთა მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშებისა და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების განხილვა და შეთანხმება;<br>ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტებისა და წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების განხილვა და შეთანხმება;<br>ნარჩენების მართვის სისტემის რეგულირების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;<br>აჭარის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი;<br>„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით განსაზღვრული წესით სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტებისა და შესაბამისი რუკების მომზადება.<br>სტიქიურ-გეოლოგიურ მოვლენებზე მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა. |







| პროგრამა | გარემოსდაცვითი პროგრამა<br>ბიუჯეტი – 65 400 ლარი |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას, რომლებიც გამიზნულია ლოკალური გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისათვის.<br>1. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მდგომარეობის მონიტორინგი;<br>2. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მდგომარეობის მონიტორინგი; |
| პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი) | გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა; ატმოსფერულ ჰაერში, ჩამდინარე, ზედაპირული და ზღვის წყალში ზენორმატიული გაფრქვევა/ჩაშვების რაოდენობის შემცირება. |






# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს 2022 - 2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

| პრიორიტეტის დასახელება | | ტყის მდგრადი მართვა | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022-2025 წლები | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 071203 | ტყის დაცვა და მოვლა | 2 906 000 | 726 500 | 726 500 | 726 500 | 726 500 |
| 071204 | საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | 16 000 | 4 000 | 4 000 | 4 000 | 4 000 |
| 071205 | ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები | 14 107 000 | 3 526 750 | 3 526 750 | 3 526 750 | 3 526 750 |
| სულ პრიორიტეტის დაფინანსება | | **17 029 000** | **4 257 250** | **4 257 250** | **4 257 250** | **4 257 250** |

| | |
|---|---|
| პროგრამა | ტყის დაცვა და მოვლა<br>ბიუჯეტი – 726 500 ლარი |
| პროგრამის აღწერა | ტყის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა; დეგრადირებული ტყეების აღდგენა და ტყით დაუფარავი ფართობების გაშენება; დაავადებულ ტყის უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება. |
| პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი) | დეგრადაციის პროცესის შეჩერება, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. |







| | |
|---|---|
| პროგრამა | საზოგადოების ცნობიერების ამაღლება<br>ბიუჯეტი - 4 000 - ლარი |
| პროგრამის აღწერა | სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში; |
| პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი) | ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; |





| | |
|---|---|
| პროგრამა | ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები<br>ბიუჯეტი – 3 526 750 ლარი |
| პროგრამის აღწერა | • საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;<br>• მეტყევის სახლების მოწყობა;<br>• ორგანზიაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულება. |
| პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი) | • გაყვანილი სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზები;<br>• მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის ეფექტური მიწოდების უზრუნველყოფა;<br>• ტყის მაღალი ხარისხით დაცვა ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან; |









აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

# *მადლობა ყურადღებისათვის!*


ბათუმი, აკადემიკოს მ. კომახიძის №119

+995 (422) 24 78 41

contact@moa.ge